

გ. თუმანიშვილი.

წიგორ აიღვა ფეხი

ქართულმა თეატრმა

38949



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, აკამანის ქუჩაზე

1880

თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მაგაზინაში ისუი-
დება.

ა დ მ ა ნ ა ხ ი.

შედგენილი

გ. თუმანიშვილისგან

პირველი წიგნი (1878 წ.).

I შვიდი ლექსი თ. ალ. ჭავჭავაძისა —
II მეორე დანდენ, კომედია 3 მოქმედებად მოლიე-
რისა. — III სამი ლექსი თ. მ. ბ. თუმანიშვილი-
სა. — IV ეკონომიური სურათები (გარდასახლე-
ბა. — ინგლისი. — საფრანგეთი.) — V შარშანდედ
ქართულ მწერლობის გადათვლიერება. — VI
პატარა წერილი დიდ საქმეებზე.

მეორე წიგნი (1879 წ.).

I დონ-უყანი, სტენები ჰუშეინისა. — II ბაი-
რონის „ჩაილდ-ჰაროლდიდამ“ ი. ბაქრაძისა. —
III სამი ლექსი თ. მ. ბირთვ თუმანიშვილისა.
შემდეგი მეორე ფურცელზედ იხილეთ.

ლოგოზ აიდგა ფეხი

ქართულმა თეატრმა *).

I.

ქართულ თეატრულ ამხანაგობისაგან შარშან მანში შედგარ ტრუპზას უნდა დაეწყო მოქმედება ენკენისთვის პირველიდამ. იმ დრომდი კი ტრუპზამ თავის თავათ გამართა რი წარმოდგენა თბილისში და ამის შემდეგ გაემგზავრა გორს, ქუთაისს, ბათუმს, ფოთს, ახალციხეს და ახასთუმანს — თბილისში ნათამაშეკ პიესების ხელმეორედ წარმოსადგენად. ჩვენ თეატრულ ამხანაგობამ თან გაატანა საჭირო ტანი-

*) როგორ დაიბადა ქართული თეატრი — ნაამბობია ჩემგან შარშან ზაფხულს გამოცემულ ბროშიურაში: „ქართული თეატრის საქმე“ (ისყიდება თბილისში, ჩარკვიანის ძალაზიაში).

სამოსი, ჰატარა ბიბლიოთეკა და ცოტადენი
ფული (45 მან.). კაცი კი ჩვენგანი კერავინ
კერ გაჭყვა თან; თვით რეჟისსიონმა დ. ერის-
თავმაც უარი თქვა ამხსე, რადგან რადაც საქ-
მე გამომუხნდა იმ დროს სოფელში. ტრუზმა
მე მოხრავდა იმასთან თან გაყოლას და ხელ-
მძღვანელობას, მაგრამ მეც იმულებული ვიყავ
უარი შეთქვა ჩემდა უნებურად.

ტრუზმა გორში და ქუთაისში საზოგადოე-
ბამ აღტაცებით მიიღო და კარგადაც დაასახუქ-
რა იმის შრომა. ყველა გამყოფილი იყო: ტრუზ-
მაც, საზოგადოებაც, გაზეთებიც და ჩვენც,
ქართული ტრუზის შემდგენელები (ქართული
თეატრული ამხანაგობა). მაგრამ ჩვენდა სამწუს-
როდ, ეს გამყოფილება დიდხან არ გაგრძელდა.
ჩვენა ქუთაისშივე ტრუზის წევრებს შუა მო-
მსდარყო რადაც უკამყოფილება; ეს რასაკვირვე-
ლია განაროდათ ქუთაისელ მაწანწალა მეჭორე-

ებს, ესენიც გარეუღიყვნენ ტრუშპის აყაღმა-
ყაღში და უკმაყოფილებს მოთამაშეებს შორის
ერთი ათად უიერო გაძლიერებულყო. ამავ უკ-
მაყოფილებით ტრუშპს წავიდა ხათუმს, გადმო-
ვიდა იფოთს, აქ მოთამაშეთ პაწაწა წრეს დაჭ-
კლებიყო უ. ახაშიძე. ახასთუმანს გზაზე ტრუშ-
პას დაჭკლებოდა კიდევ უ. მესხი, და გორში—
სათაროკის ქალი. ამგვარად შემოკლებულ პაწა-
წა ტრუშპას დასდებოდა ვალები სსკა და სსკა
ქალაქებში *) და სჯობდა თბილისში დაბრუნება-
დროსედაც დაბრუნდნენ. ისინი ჩამოვიდნენ თბი-
ლისში 20 აგვისტოს, და პირველ ენკენისთვი-
დამ საჭირო იყო წარმოდგენების დაწყება.

ამ დროს მომიხდა მე ყოფნა თბილისში და
გაგება იმ საცოდავ მდგომარეობისა, რა მდგო-
მარეობაშიადაც იყო ტრუშპა. იმისი წევრები წა-

*) ვალები გადინადა ტრუშპამ ამ. ზამთარს განსა-
კუთრებით ამისათვის გამართულ წარმოდგენით.

ნსუბულიყუნენ ერთმანერთან, ზოგნი ერთმანერთან
ანც კი ელახანაკებოდნენ და თვიცულობდნენ:
ერთათ აღაწასდრეს ან ვიშრომებთო. ბეცათ
უქმყოფილნი იყუნენ თავიანთ დრეებითი, სა-
ზაფხულო რეყისსიოწისა, უ. ყიჟიანისა, რე-
მდელსაც ახალბედნენ ყველა ტრუზუზის ვალებს და
რემდელსაც ამოდ სთხოვდნენ ანგაწიშს. ნამ-
დვილი რეყისსიოწი დ. ერისთავი კი უაწს ამ-
ბობდა რეყისსიოწობასე, რადგან იმედი აწა
ჭქონდა საქმე წესიერად წასულიყო ტრუზუზაში,
რემდელსაც იმ დრეს ჩვენი საზოგადოება
ათას სისამაგლეს ახალბედა. ამის გამო-
ტრუზუზის ზოგიერთ წევრებს სურდათ დარჩენი-
ლიყო რეყისსიოწათ კ. ყიფიანი, და ზოგიერ-
თი კი აზიარებდა ტრუზუზიდამ გამოსკლას, თუ
კ. ყიფიანი კიდევ რეყისსიოწათ იქნებაო. ამ
დრეს ჩვენმა ქართულმა თეატრულმა ამხანაგობამ
მთხოვა გამომეცხადა ტრუზუზისათვის, რემ ეს

ამხანაგობა ან დათანახმდება კ. ყიფიანის ან სხვა აქტიურობის რეჟისსიონით ამოწმებაზე, წადგან ეს ეწინააღმდეგებოდა თვით აქტიურობის პირობას. ეს გარდაწვევები და დ. ერისთავის უარის თქმა რეჟისსიონობაზე გამომუშავდა ტრუზებს და ტრუზები თითქმის ერთხმად გადაწვევით ეთხოვნა ჩემთვის, რომ მე შევიხირო რეჟისსიონობა.

მე ჩემ თავს არასდროს არ ვთვლიდი სარეჟისსიონო კაცად, წადგან არასდროს არ ვუფიქვარ აქტიური, რომ სხვისთვის მეჩვენებინა, რომ რა უნდა თამაშობა. (თამაშობის ჩვენება კი საჭირო იყო ჩვენ უმეტეს მთამაშებისთვის). მაგრამ ამ შემთხვევაში დროებით ვიკისრე რეჟისსიონობა, წადგან ქართულ ტრუზებს რეჟისსიონი ვერ ეშოვნა და ამის გამო იშლებოდა. უფრო კი იმიტომ ვიკისრე დროებითი რეჟისსიონობა, რომ პირველ დროე-

ბაში ქართულ ტრუბზას იმისთანა რეჟისორი
სჭირდება რომელსაც უკუაწე მეტად მხედვე-
ლობაში უნდა ჰქონოდა შემდეგი საგნები: 1)
რეპერტუარს საშინელი სიღარიბე ახდა, საჭი-
რო იყო პიესების შერჩევა; 2) ტრუბზის წევრე-
ბი ერთმანეთს მგლებსავით უუჩუბდნენ, სა-
ჭირო იყო იმათი მოწიგება; 3) ტრუბზის წევ-
რები ისეთ პირობებში იყვნენ შემდგარნი, რომ-
ელთაც ამ დრომდე ეცნოვნათ სხვის ხარჯით
და ნამდვილი შრომა კი არ იცოდნენ რა არი;
საჭირო იყო ისეთი წესის შემოღება ტრუბზაში,
რომ ზანძარცობით განებივრებული ხალხი შეს-
ხვევოდა კეთილსინდისიან შრომას; 4) უმე-
ტეს ნაწილს მოთამაშეთაგანს არამცთუ არ
წაუკითხნა ის ათიოდ პიესა, რომელიც ქართულ
ენაზედ არის დაბეჭდილი, არც სურდა გაეგო-
იმ პიესის შინაარსი, რომელშიაც თამაშობდა და
სშიწად არც კი იცოდა ვის თამაშობდა. საჭი-

რთ იყო ამგვარებისათვის ახსნა პიესის და რთ-
ლის. 5) თითქმის ყველა მოთამაშეს ისეთი
უსიამოვნო ნაკლულევანებანი ჰქონდა სცენა-
ზე, რომელნიც თუატრიდამ ბევრს სცენის მო-
ყვარქს გარეთ გაარბენინებდა. ეს ნაკლულევანე-
ბები წარმოსდგებოდა სცენის უცოდინარობით
და არა უნიჭობით. მაგალითად, ზოგი საჭი-
რთ რაცხდა ყველგან კლაკენას და მასხარობას,
ეგონა რომ დრამატული ხელოვნება ამას მო-
ითხოვსო, ზოგი კი ყველგან მძიმეთ, გაჭი-
ნურებით ლაპარაკობდა, თითქმის მღეროდა;
ამასაც ის ეგონა, რაც პირველს. საჭირთ იყო
რეჟისორისათვის დრამატულ ხელოვნების
ახსნის ცოდნა, რომ ყველა ამ უსიამოვნო
სცენიკურ ჩვეულებასე ხელი აეღებინა მოთა-
მამებისათვის; 6) კვირასი ერთსელ გამართულ
წარმოდგენას უნდა შეენახა მთელი ტრუჰზა,
(ცამეტი კაცი). ეს რასაკვირველია ადვილი არ

იყო, თუ მოიგონებთ რომ ყოველ წარმოდგენასვე ნაჭირავ თეატრში ვაძლეკდით ოც თუმანს და ჩვენი ქართველობა კი ხშირად არ გვეწვევოდა. საჭირო იყო დიდის ეკონომიით ხარჯვას ფულისა და დიდის სიფთხილით გაყოფა შემოსავლისა აქტიორებში.

უკვლავ ეს საჭივე ძნელი იყო, მაგრამ მე კი ვგრძნობდი, რომ იმის ასრულება შემიძლია. გამაართლდა თუ არა ეს ჩემი იმედი, გადასწყვიტოს ქართველმა პუბლიკამ და მოთამაშეების სვინიდისმა.

II.

ზამთრის სეზონში ე. ი. 1 ენკენისთვიდან 1879 წლ.—1 მარტამდე 1880 წ. (სანამ მე ვიყავ რეჟისსიორათ) იყო გამართული 26 წარმოდგენა თბილისში და ერთი წარმოდგენაც გორში. ამ წარმოდგენებში ნათამაშევი იყო 38

პიესა. ამათში 17 ორიგინალური და დანარჩენი 21—ნათარგმნი და გარდაკეთებული.

შემდეგი თვრამეტი ნაცნობი პიესა იყო წარმოდგენილი ამ სეზონში: გაურა (ერთჯერ), ძუნწი (1), ტივით მოგზაურობა ლიტერატურათა (1), მე მინდა კენის გავხდე (1), თილისმით მოაწმიე (1), ჰეპო (1), სათაბლას (2), ყორყ დანდენ (1), სკაპენის ცუდლუტება (1), ჯერ დაიხრცენ, მერე დაქორწილდენ (3), ქმრები გავაბით მასეში (1), მოტია (2), შური (1), ხეჯ ოთახში (1), ცოლი თუ გინდა ეს არი! (2), ყვაკი ფარშეკანგის იტრებით (1). იჭვიანი (2), ცოლის შეერთეკინება (1).

დანარჩენი ოცი პიესა პირველად იყო წარმოდგენილი ამ ზამთარს. აქვე გადავთვლით ამ პიესებს და სახებს დაუსვავთ იმათ, რომელნიც ესლასან დაწერილნი იყვნენ განსაკუთრებით სხალდაბადებულ თეატრისათვის. ყოველ პიესას

უსვია თრხნილებში ჩიტხვი—წამდენჯერ იყო
ის წარმოდგენილი.

წას ვეძებდი და წა ვხევე! კომედიას სამს
მოქმედებად კნ. ბარ. ჯორჯჰადისა (3).

— წაგ გინახავს, ველარ ნახავ! კომედიას სამს
მოქმედებად ა. ტაგარელისა (3).

— კინტო, კომედიას 3 მოქმ. თ. ავ. წიქეთ-
ლისა (1).

— გულთმისანი, აწაკი 3 მოქმ. 3. უმიკაშვი-
ლისა (1).

— ბედნიერი ქალი, კომედიას 2 მოქმედებად
გ. თუმანიშვილისა (1).

რეგორც ქუჩის ისე აწა სწვიმს! კომედიას 3
მოქმ. გოდდონისა, იტალიურადმ გადაკეთ-
ბული თ. ივ. მახაბლისაგან (2).

— სანაკელი, კომედიას—გოდუკილი 2 მოქმ.,
რუსულიდამ გადაკეთებული თ. დ. კრისტავი-
საგან (2).

— კეთილი და უმანკო ანგელოზი, კომედია
3 მოქმედებად ალექსანდროვისა, რუსულ. გადაკ.
თ. დ. ერისთავისაგან (1).

— მიხაკო ცოლს იწთავს, კომ. 3 მოქმ. ოს-
ტროვსკისა, რუსულიდამ გადმოკეთებული (1).

შემოსავლიანი ადგილი, კომ. 5 მოქმედებად
მისივე (1).

ოჯახის ასული, დრამა 3 მოქმედ. გ. წი-
რეთლისა (1).

უომარბაზის ცხოვრება, დრამა 3 მოქმ.,
რუსულიდამ გადაკეთებული (1).

კატა აწონა, სცენები 2 მოქმ. მეღვინეთსუ-
ცხროვისა (2).

— ხასიათი გადავაკეთე, კომდ. 1 მოქმ. ქართ-
ველოვისა (1).

ბუტირაობა, კომდ. 1 მოქმ. თ. აკ. წიკო-
ლისა (1).

— ბიძისთან გამომხუმრება, კომდ. 1 მოქმ.

რუსულიდამ გადაკეთ. თ. წაფ. ერისთავის-
გან (1).

— ნება მიბოძეთ, ბატონო! ვოდ. 2 მოქმედ.,
რუს. გადაკეთებული ივ. კერესელიძისგან (2).

— რკინის გზა, ვოდეკილი 1 მოქმ., რუსულ.
გადაკეთებული (1).

ცელქები, ვოდ. 1 მოქმ., რუს. გადაკეთ-
ებული (2).

ბრანზიანი ამერიკელი, ვოდ. 1 მოქმ., რუს.
გადაკეთებული (2).

ამ სახლ პიესების წარმოდგენებში ფოკიერ-
თი ისე მოეწონა პუბლიკას, რომ შეიძლება
იმათი გამეორება ამ წელსვე წამდენჯერბე. მა-
გალითად მოვიყვანთ: წარმოდგენებს თ. წაფ.
ერისთავის ვოდეკილისა: „ბიძიასთან გამოხუმრე-
ბა;“ ვ. უმიკაშვილის არაკ-კომედიისა: „გულთ-
მისანი“ და რუსულიდამ გადაკეთებულ ვოდე-
კილისა: „ცელქები.“

ამ ექვს თვის განმავლობაში ტრუზის 27
წამოდგენილად შემოვიდა 10948 მ. 50 კობ.:

ენკენისთვეში 987 მ. 74 კ.

ღვინისთვეში 2134 „ 17 „

გიორგობისთვეში 1378 „ 92 „

ქრისტეშობისთვეში 2428 „ 50 „

იანვარში 2377 „ 70 „

თებერვალში 1641 „ 47 „

თათქმის მეოთხედი ნაწილი ამ თულისა —
2586 მან. შემოვიდა ოთხ ბენეუისილად.

თითო წამოდგენაზე მოდის 405 მ. 50 კ.

III.

რადუნად ქართულმა თეატრულმა ამხანაგობამ
იშრომა ტრუზის წამოდგენების გამართვადი, ეს
მე მოვასსენე მკითხველს ჩემ შარშანდელ ბრ-
შიურასში: „ქართული თეატრის საქმე.“ *) ეს-

*) „ობზორში“ გამოცხადებული იყო, რომ ქარ-
თულ თეატრულ ამხანაგობაზე ამ წიგნში არაფერი არ

და საჭიროთ ვრცხვ გადავთვალთ, რამდენად შეეწია ეს ამხანაგობა ახლად დაარსებულ თეატრს და ამით დავანახო მკითხველს, დიწხის თუ არა ამხანაგობა იმ საუკედურების, რომლებსაც ქართველობაში დაათვრენდნენ უქმად მოლაქლექე ენები.

უმთავრეს ზრუნვათ ქართულ თეატრულ ამხანაგობისა **) იყო მატერიალურათ შესწევნა და თეატრს. ამ მიზნით ამხანაგობა ყიდულობდა იმისათვის ყველა საჭირო ტანისამოსს და წიგნებს; შეადგინა თეატრული ბიბლიოთეკა; მთხვერ დაეხმარა ტრუბზას ფულთ (სულ

სწერიათ. ვინც კი ამ წიგნს წაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ „ობზორი“ შემცდარია.

**) აქ საჭიროა მოვანსენო მკითხველს, რომ ამხანაგობას—ტრუბზის შედგენის შემდეგ—დააკლდა ერთი წევრი: ალ. სარაჯიშვილი რომელიც წავიდა ახალტუკინს და მოემაცა დ. ყიფიანის და ჩემი წინადადებით შემდეგი მთხი წევრი: თ. ილ. ჭავჭავაძე, დ. ერისთავი, ი. მაჩაბელი და დ. სარაჯოვი.

თექვსმეტ თუმნამდი შესდგება), აქედამ ტრუზ-
ვამ სანამ დაუბრუნა სამ თუმან ნახევარი (ეს ის
პროცენტები განლავთ, რომლებსაც მეჭოჩე გა-
ზეთები და ზოგიერთი აქტივობები აუკედრიდ-
ნენ ამხანაგობას).

ღარც ქართულ რეპერტუარსაც ამხანა-
გობა ბეკრად შეეწია: შემოსვენებულ ხსალ
პიესებში ოთხი დაწერილია ამხანაგობის
წევრებისაგან. მოძავალ რეპერტუარისათვის მო-
ამზადეს ამხანაგობის წევრებმა: ნ. ავლი-
შვილმა — თარგმანი შილლერის სუთმოქმედები-
ან ღრამის „უაჩადები“; თ. დ. ერისთავმა —
თარგმანი კომედიებისა; „ორღანო და ლეკვი“
(მელიავისა), „სადავო მიუღობელობა“ (ალექ-
სანდროვისა) და „ღრმებითი სიყვარული“
(მისივე); თ. ი. მენახელმა — თარგმანი ქარსი-
სა: „ადვოკატი პატეჯენი“ და სტენისთვის
შემოკლებული და მისგანვე და პეტეჩბურსის

სტუდენტებისაგან ნათარგმნი კომედია მოლიერისა „კრიჟანგი.“ ამხანაგობის წევრმა ი. ბაქრაძემ სელმეორედ გადათარგმნა ამ ზამთარს სუნდუკიანცის „ხათაბაღა“ და თ. დ. ერისთავმა მისცა პლანი ცაგარელს იმის კომედიის გადასასწორებლათ სცენისათვის. დრამატიულ მწერლების წასახალისებლათ ამხანაგობამ გადასწვიტა იმათი დასახუქრება; ამ გარდაწვეპტილების ძალით სუთი თუძანი მიიღო აქტიორმა უ. ცაგარელმა თავის კომედიისათვის: „რაც გინახავ—ვეღარ ნახავ!“ ამის გარდა ამხანაგობას ჭყავს მხედველობაში კიდევ ორიოდ მწერალი ამგვარვე ჯილდოს მისაცემათ.

პირველ დროს (ენგენისთვეში და ღვინობისთვეში) ბევრნი ქართველობაში თაკილობდნენ ქართულ თეატრში სიარულს. საჭირო იყო, რომ ისინი შესხვეკოდნენ ქართულ თეატრს და დაწმუნებულნიყვნენ თავიანთ თაკილობის უსა-

ფუძვლებზე. ამიტომაც ქართულ თეატრის ამხანაგობა—სახოგადობაში პატრივტულ წევრების საშუალებით—ცდილობდა მოეზიდნა თეატრში შეძლებული ქართველები. ეს ცდა უნაყოფოთ არ დაჩნა: რამდენიმე სახლობამ გადასწყვიტა ახლანდელი ქართულ წარმოდგენებზე და ამის გამო, შედეგ, თითქმის ყოველთვის საუბრე იყო ხალხე ლაყები ამ წარმოდგენებზე.

პუბლიკის მოსახიდველად ამხანაგობამ თ. დ. კრისტავის წინადადებით შემოიღო ბენეფისები, რომელიც სასარგებლო იყო ტრუზისათვისაც და ბენეფიციანტისათვისაც. ტრუზმა ყოველ ამ ბენეფისივად იღებდა წმინდა შემოსავალს ოც თუმანს; დანარჩენ შემოსავალს იღებდა და ხარჯს კისრულობდა ბენეფიციანტი; ამას მანაც შემოსდიოდა ყველა ხარჯის გამორიცხვით—ოც და ათი თუმანი და მეტიც. ეს ბენეფისები ცოტა მკაცრულიც იყო, რადგან

იმათ წინა და შემდეგი წარმოდგენები არ იზი-
დავდა თეატრში ხალხს და ბენეფიციანტებიც
ბენეფისის შემდეგ ცოტა გულის იცრუებდნენ
თავიანთ სკლობაზე; მაგრამ საზოგადოთ რომ
გთქვამთ, ბენეფისები მანც სსსარგებლო იყო
რადგან მეტად ბევრს ხალხს იზიდავდა თე-
ატრში და უკანასკნელ თვეების შემოსავალი
ბევრათ აკმატება უწინდელებისას, რაცა ბენე-
ფისები არ იყო.

ქართულ თეატრულ ამხანაგობას ვაღადავებ და
სხვათა შორის ბოლო მთელი ყოველგვარ
უთანხმობებს, რომელიც მოხდებოდა ტრუბა-
ში. ამხანაგობამ მიიღო ამ უამთარს საჩივრები
სუფლიორისა და ზოგიერთ მოთამაშისა რე-
ჟისისორზე, და ამხანაგობის გარდაწყვეტილება
სშირად აკმაყოფილებდა მოჩივარისა და იმის
მოწინააღმდეგესა და ამით ისობოდა უთანხ-
მოება.

ქართულ თეატრულ ამხანაგობამ ამის გარდა
ამ წელს თებერვალს გარდასწევიტა გაქმართა
საღიტერატურო საღამოები, რომლებზედაც უნ-
და ეკანჯიშნათ კითხვაში ტრუპის წევრებს.
ეს საჭირო იყო იმიტომ რომ ჩვენ მოთამა-
შეებს, როგორც თვით პუბლიკა შენიშნავდა,
ძირულ ბევრი ნაკლულევანება ჰქონდათ ქართულ
კითხვაში. კითხვის დროს სელმძღვანელათ იყო
დანიშნული თ. დ. ერისთავი.

ქართულ თეატრულ ამხანაგობამ ამ უკანას-
კნელ დროს გორის როტონდა გარდააკეთა თე-
ატრათ და აზირებს ყოველ თვე გამართვას იქ
წარმოდგენებისას.

აქ გადავთვალეთ უმთავრესი მოქმედებები
ქართულ თეატრულ ამხანაგობისა. გაზეთები და
მოთამაშეები კი არწმუნებდნენ საზოგადოებას
ჩვენი კომიტეტი ე. ი. ხსენებული ამხანაგობა
არათუქს არ აკეთებს. მკითხველმა ნახა, რას

აკეთებდა ამხანაგობას; ესლას ვახუცენებს, რას აკეთებდნენ ქართულ თეატრისათვის ამის კრიტიკოსები — გასკეთები და მოთამაშეები.

IV.

ქართულ თეატრის საქმეს, როგორც ყოველ სხალ საქმეს, რასაკვირველია, ბევრი ნაკლულევანება აქვს. კეთილსინიდიისიან კრიტიკოსის კაღის უზენოს საქმის მოთავეებს ნაკლულევანება და აუხსნას რა გზით შეიძლება იმის მოშორება. ამისათვის, რასაკვირველია, ბევრი რამ არის საჭირო. საჭიროა, რომ კრიტიკა იყოს მცოდნე დრამატულ სელაუნებისა და ჩვენ ესლანდელ საზოგადოებისა, ამის გარდა საჭიროა კეთილსინიდიისიანი შრომა.

ჩვენი მეგასკეთები კი დაადგნენ სწორეთ იმ გზას, რა გზასაც ადგიან მეგასკეთები რუსეთში. თუ მეგასკეთებ იცის წერა-კითხვა, წაუ-

კითხავს ათიოდ საზოლიტიკო ან სალიტერატურ-
ო თხზულებას და რამე ესმის მწერლობაში და
ზოლიტიკაში, ის ხდება რედაქტორათ ან ფე-
ლეტონისტათ; მაგრამ ხშირად ისეთი საცოდან-
კობაც მოხდება ჩვენ და რუსეთის ქალაქები-
მიერეუბნულ ცხოვრებაში, რომ რაღაც უბედუ-
რებით ჩავარდება მეგასეთეებში კაცია, რომელ-
საც თავის სიცოცხლეში აწამტოუ რიგიანათ აწა-
ფერი ან წაუკითხავს, აწამედ რიგიანათ ანც კი
იცის წერა-კითხვა და ან ესმის რა აწის კე-
თილსინიდიისანი ლიტერატურული შრომა. გა-
სეთის რომელ ადგილას უნდა ჩაეტოოს ეს მე-
ტი კაცია? ადამიანს აქვს ხოლმე ცალკე გუნ-
ჭული სადაც სტოვებს უვარგის ნაყოფს
თავის სხეულისას (რიგი ან აწის იმის სახელი
გამოვთქვა, თქვენ თითონ მისვლებით); გასე-
თებსაც ამ უვარგის თანაშემწეებისათვის აქვს
ცალკე ადგილი; იმათ ჭკნავნის თეატრში, სხვა

ადგილს ვერ უღალბებს; თეატრი გაუხდიათ და-
ბალი ღობე, უვარგისი მწერალი ხშირად გადა-
სიჯებს სულმე ამ დაბალ ღობეს; დაწმუნებუ-
ლია რომ თეატრის საქმე ესმის, იმიტომ რომ
თითონ რომდისდაც პატარობისას უთამაშნია და
ნათესავეებს და ნაცნობებს უქიათ; ან იმიტომ
რომ რომდისდაც ღამაზ აქტრისას უკან უვლია
და ოცოდ წაწმოდგენას დასწრებია, რომ იმას
ტაში დაუარას, და ან ერთი კომედიაც დაუწე-
რია და ამხანაგს—იმისავით ბრძენ კრიტიკოსს—
უქია. ესენი საკმაოა, რომ დიმიანზიის მესამე
თუ მეოთხე კლასის სწავლით გაბრძენებულმა
მიჭყოს ხელი დრამატიულ კრიტიკას.

ამაზე ბევრი ლაპარაკი არა ღირს: დაცემულს
მუშტს არ არტყავნო, ნათქვამია. უჩუმოთაც უკე-
ლა იცნობს ამ საბრალყოებს. აქ მოვიყვან მხოლოდ
ერთ მაგალითს, და ესეც საკმაო იქნება.

თებერვლის პირველ ტიცხვებში ქართულ სცე-

ნაზე წარმოდგენილი იყო იტალიურიდან გადაკეთებული გოლდონის კომედია. რაკი ქართული სასკელები იყო ჩახმული ამ კომედიაში და ზოგიერთ მომქმედ პირობებს ქართული ხასიათები ჰქონდათ, მეც, რეჟისორი, და გადაძველებელმაც გადავწყვიტეთ ეს ზოგიერთები ქართულ ტანისამოსით გამოგვეყვანა სტენაზე, დანარჩენები კი ევროპიულ (შტეტურ) ტანისამოსით. ამის გამო გაზეთის რეცენზენტმა დაგაკუქაძეს, რომ თქვენ თითონაც არ იცით რას სჩადისართა, ზოგს ქართულად ჩაცვით, ზოგს იტალიურულად, ზოგს ნემეცურად და ზოგს ფრანგურულად. ამისთანა უმეცრობისათვის მეორე კლასსში წაღეს დაუსკამდენ რეცენზენტს, მაგრამ „აზნაურში“ კი ის პატრივტიული რეცენზენტია.

ამ წამთარს ქართულ წარმოდგენებზე მგონია სამოცამდი სტატია დაუწერიათ თბილისის

გაზრდაში და, წასაკვირველია, ძნელი იყო, რომ იმათში რჩი მართალი სიტყვა მანც არ წამოსცდენიყოთ. ერთი მართალი და ფრიად სასწგებლო იყო სტატია „თბილისის მოამბეში“, რომელიც არცხვენდა შეძლებულ ქართულაზს, რომ პიენიკები და ქალაღდის თამაშობა გიჩხენიათ თქვენ სამშობლო თუატრსაო. მკორე ჭეშმარტება გახლდათ: ქართული აქტიორები რაღებს არ სწავლობენო *).

V.

ღიან, ეს სამწუხარო საქმე (რაღების უცოდინარობა) შევამცირეთ, მაგრამ ვერ კი მოვსპეთ. ეს იყო მიზეზი პუბლიკის უბოლოვო საყვადუჩისა. მოთამაშეები იმის მაგიერ, რომ

*) კარგად იცოდნენ ქართველმა აქტიორებმა როღები სხვათა შორის თავიანთ რეცენზენტების პიესებში: „სკაპენის ცუღღუტება“ (ნათარგმნია თ. აკ. წერეთლისაგან) და „ოფანის ასული“ (გ. წერეთლისა).

გადასჩქევოდნენ ამ შემარცხვენ ჩვეულებას (ადვილი
იყო გადაჩქევა, რადგან კვირაში ერთხელ თამა-
შობდნენ) იხმარეს სხვა იარაღი ჰუბლიკასთან შე-
სარბიებლათ. მოთამაშეებმა თავიანთი თავი გახა-
დეს ჰუბლიკის მასხარათ: რეჟისსიონის ყუჩს
რ უგდებდნენ და ჭბამავდნენ გოთფრუას კლუ-
უნებს. მაგალითი უჩვენეს ტრუშპას უკეთეს აქ-
ტიონებმა: უ. ახაშიძე ერთ ჰიესაში „კისი
თავის“ მაგიერად ამბობდა „კირის თავს;“ მე-
რე ჰიესაში („ხათაბადაში“) ხაღხს ატინებდა
იმით, რომ უადგილეთ ჰიეს ივსებდა ბისკვი-
ტებით. უ. მესხის სტენები ფოგჯერ სულ-
მთლად ბოყინსა და სლოკინისაგან შესდგებოდა...
სხვა მაგალითების მოყვანა, სწორე მოგახ-
სენეთ, მეზიზღება. ერთის სიტყვით, აქტიონ-
ებებს სურდათ ჰუბლიკისათვის თავი შეეყვარები-
ნათ იმგვარათვე, რაგვარათაც ხაღხის გულს
იგებენ ჯამბაზების უკან მაწანწალა მასხარები.

რაკი ვნახე, რომ მოთამაშეები კეთილსინიდიისან
შრომის კარგად ვერ შეეჩვივნენ და სურთ
მოიხზონ ჩვენ უმეტეს მსუფრებლების უწყად-
ლება მსოფლად უგვარობით, რეჟისსიოტათ დაწ-
ენა ამგვარ ტრუზვაში სიტყვილი იყო; მე
უარე ვთქვი რეჟისსიოტობაზე და ვხმარობდი
ყოველ დონისძიებს, რომ ქართულ თეატრულ
ამხანაგობას ეტადნა უკეთესი წესის შემოღება
ტრუზვაში. მაგრამ პირველ დროს ამხანაგობის
ცდამაც უნაყოფოთ ჩაიწა, რადგან მოთამაშე-
ბა მოინდომეს საზოგადოება გაემტეკებინათ
ამხანაგობასთანაც. ვინც კი ესაუკუდუტებოდა მო-
თამაშეს: „ვერ თამაშობ რიგინათაო,“ მიიღებ-
და ამისაგან ამგვარ ვასუხს: „ჩვენი მოთაგეები ან
არაფერს გვასწავლიან, ან თუ გვასწავლიან ცუ-
დათ გვასწავლიანო. თქვენ გახდით ჩვენი მოთა-
გეები და აბა მამინ კარგად წავა ჩვენი საქმეო.“
ამ თარისუკლობით მოთამაშეები გულის უკებდ-

ნენ სულელ თაგმრუკაწკებს და აბრაზებდნენ
იმათ თეატრის მოთავეებზე. ჩქარა შემთხვევაც
იზრკეს აქტიორებმა იგივე კომედია ეთანაშნათ
ცხადათ, გაზეთებში.

ჩვენ თეატრულ ამხანაგობიდან გამოვიდა დ.
უიფიანი, რომელმაც გამოაცხადა, რომ ამხანა-
გობა აწა ცდილობს დამტკიცდეს დრამატიული
სასოგადოების წესდება და აწც მიიღო თავის
წევრათ თ. მ. ბებუთოვი. *) მთელი წელიწადი
იყო ჩვენ ამხანაგობაში უ. დ. უიფიანი და ის
კი აწ იცოდდა, რომ დრამატიულ სასოგადოე-
ბის წესდების უკან სიანრული თეატრულ ამხანა-
გობის ვალი კი აწ იყო, აწამედ იყო ვალი
თ. ალ. ჩოლაყაშვილისა და დ. ავალიშვილისა,
რომელნიც ამოიჩნია ამ საქმისათვის ბანკში შე-
კრევილმა სასოგადოებამ.

*) ესვე ბებუთოვი არ იყო მიღებული არც სომხების
თეატრულ კომიტეტში.

განსვენებულ „თბილისის მოამბეში“ იყონათქვამი: დ. ყიფიანმა ბევრი საწგებლახა მოუტანა ქართულ თეატრსაჲ. მე კი ვიტყვი მართლად დიდი საწგებლახა, რომელიც მოუტანა დ. ყიფიანმა ქართულ თეატრს: თავი დაანება თეატრულ ამხანაგობას და ამით წაართვა ღონისძიება თავის შვილს კ. ყიფიანს და თავის ნათესავებს მ. ყიფიანს და ბ. კოჩინთლისას ისე დაუდევრელად ემსახურნათ ტრუპაში, რომელსაც აქამდე მსახურებდნენ იმ იმედით, რომ ჩვენი დიმიტრი ივანოვი ამხანაგობის თავსმჯდომარეა და ვინცა გაგვიბედავს. ამით გათამამებული ეს სამი პირი ყოველთვის თავს იჩენდა რომლის უცოდინარებით.

უ. დ. ყიფიანი გამოვიდა ქართულ თეატრულ ამხანაგობიდან და ამით ისაწგებლეს ზოგიერთმა მოთამაშებმა. ამით გამოუცხადეს ამხანაგობა

ხას, რომ სამი უკარგისი წვერი გუყავსო, ისინი
გამოწიციხე და მიიღეთ დ. უიჟიანიო, თ. მ.
ბებუთოვი, აკ. წვერეთელი და წაჟ. ერისთავი.
ამხანაგობამ უბასუხს: თუ ჩვენი სამი წვერი არ
გინდათ, ნურც ჩვენ დანარჩენი გუნდლებითო;
თუ არ მოგწონვართ, თავი დაგვანებეთ, ჩვენ
ახალ ტრუზხას შევადგენთო.

ამის შემდეგ უმეტეს ნაწილმა ტრუზხისამ სა-
მი ნაბიჯი გადასდგა:

1) გააკრცელა ყველგან ის აზრი, რომ წაღ
ამხანაგობას ქონება აქვს ჩვენიო, ტრუზხისაო,
ამიტომაც ნება არა აქვს ეგ ქონება ჩვენ არ
მოგვცესო. შარი თუ გნებავსთ ეს არი! ტანი-
სამოსი და წიგნები ამხანაგობამ იყიდა ხანკიდა
აღებულნი ფუფით (ხანკმა ამხანაგობას მისცა ეს
ფუფი და არა ტრუზხას) და იმ ფუფით, რომ-
ელიც შემოსწირეს ამხანაგობას ძველმა (1872
წლ.) ზ ა ხ ა ლ მ ა მოუვარკებმა სტენისა, ამით-

ში ეჭივნენ ზოგიერთი ზიანი ტრუზისა. მაგ-
რამ დიდ უმეტესობას შეადგენდნენ ის მოყვა-
რები, რომელნიც არ შევიდნენ ტრუზაში.
ამის შესახებ დოკუმენტი გამოცხადებული იყო
„დროებაში“ (იხ. „დრ.“ 4 და 5 მარტისა
1880 წლ.).

2) ტრუზის უმეტეს ნაწილმა გამოაცხადა,
რომ ჩვენგან ამოწმებული ამხანაგობა *) და რე-
ჟისსიონი **) უვარგისნი გამოდგნენ და ამი-
ტომაც ვიწმეკთ ახალ ზიანებსა: დ. ყიფიანს,
ლ. მაღალაძეს, ს. მესხს, ი. ჭავჭავაძეს, ივ.
თეთრაშვილს, ნ. ნიკოლაძეს, აკ. წერეთელს,

*) ეს განცხადება სიცრუეა, რადგან ამოიჩინა ქარ-
თული თეატრული ამხანაგობის წევრები ეხლანდელ
ტრუზაში კი არა, არამედ სტენის მოყვარულებმა, რომ-
ელთ უმეტესობა არ შევიდა ტრუზაში.

**) რეჟისსიონი იცნეს უვარგისად როცა რეჟისსიონ-
მა უარი თქვა ტრუზაში დარჩენაზე. როცა კი რეჟის-
სიონი ამ უარს ამბობდა, დარჩენას ებვეწებოდნენ ის
პირები, რომელთაც იმის უვარგისობა გამოაცხადეს სა-
მი დღის შემდეგ.


წათუ. ერისთავს და მ. ბებუთაძეს. ამ პირებმა უაზრი უთხრეს აქტიონებს და არც იკადრეს რამე რჩევა მიეცათ იმათთვის.

3) ტრუზის უმრავლესობამ რაკი ნახა, რომ ვეკლას თავიღობს იმას მიეკაროს და არც თი-
თან მონახეწხა თავის საქმეების გარეგება, ისევე ჩვენ თეატრულ ამხანაგობას გამორუცხადა: „ისევე თქვენ შეგვიფარეთ; სხალ ტრუზსას რომ არდ-
გნთ, ჩვენც მაგ ტრუზსაში შემოვალთ. ამ-
ხანაგობამ თეატრის საქმის წარმატებისათვის დაივიწყა ზემონსენებული აყალმყალი და ხელ-
მეორეთ მიიღო ტრუზსაში ტრუზშიდამ გამორ-
სული მოთამაშეები.

ამ უკანასკნელ დროს გამრავლდნენ ჩვენ მწერ-
ლობაში პოლიტიკოსები: აღარაკინ მართალს არ
ამბობს. „კტყუი, იმიტომ რომ ეს საჭიროა,
ამას ჩვენი მიზანი მოითხოვს,“ ამბობს ჩვენ-

ბუჩი მწერალი, როცა ან მოგწონს იმის უხე-
მი პატრიოტული კვების ან გინება. მკითხველი,
უტკველია, შეეჩვიას ამ ლიტერატურულ პო-
ლიტიკოსობას და ამიტომაც უკვირს, რომ
მე იმას აწაფებს ან ვუძლავ და პანტასკოთ
ვარს სხვა და სხვა გემოს ამბებს: ზოგი ტვინილია
შაქარსავით და ზოგი კი მწარეა დარწმუნისავით.
გთხრო, მკითხველო, ან გაგიკვირდეს, რომ ანც
სასიამოვნოს და ანც უსიამოვნო ჭეშმარიტებას
ან ვაძლავ.— ჩვენ ცხოვრებაში იმდენი საცრუა,
რომ თუ მწერლობაც იცრუა, მაშ სადღა იბუღა-
როს ჭეშმარიტებამ? მწერლობას ჭეშმარიტების გა-
მოაშკარავება უნდა ჭეშმადეს საგნათ. მე აქ გაიმბოთ
ყოველი ნამდვილი ამბავი ქართულ თეატრსე.
სასიამოვნო ამბავიც ბევრია და უსიამოვნოც.
თქვენ ნახეთ, როგორ დაიბადა და თქვი აიღვა
ქართულმა თეატრმა: თუ ის, ჩვენდა სამწუხა-
როთ, დაეცემა, საჭირო აღარ იქნება, რომ
ნმა ამოვიღოთ: თქვენ ნახეთ ამ ბრძოლიდან
რა უშლიდა ქართულ თეატრს თქვის ადგმას;
თქვენ თითონვე მიხვდებით, ვის შეუძლიან
იყოს იმის დატყობის მიზეზი.

13 მარტი, 1880 წ.



—IV ქართულ უერნალ-გაზეტების მიმართუ-
 ლება.—V „მშენებელი ქვეყნის“ ფარსი მედიცინისა,
 თარგ. თ. ღ ერისთავისა.—VI მოხუცი
 მატანტალა, ბერანუეს ლექსი, გადმოთ. თ.
 რაფ. ერისთავისაგან.—VII რომანსი, ზუშკი-
 ნისა, თარგმნ. თ. რაფ. ერისთავისაგან.—
 VIII. ებრაული მელოდია, ბაირონისა, თარ-
 გმნ. ი. ბაქრაძისაგან.—IX კკონომიური სუ-
 რათები, (რუსეთი).—X კრიკ და ხრამ! თ.
 აკ. წერეთლისა.

ფარსი ზირკულ წიგნისა—20 კ., მეორესი—
 40 კ.

იქვე ისუილება გ. თუმანიშვილის ბროშურები:
 ქართული თეატრის საქმე ფ. 15 კ.
 რეგულარი აიდგა ფენი ქართულმა
 თეატრმა ფ. 5 კ.



792
n 842

გაბა გრთა შიჭრა

• Дозвол. цензурою. Тифлисъ, 29-го марта 1880 г.